ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №5631097

ნომერი: AR1854588

თარიღი : 05.10.2021

გაცემის თარიღი : 08.10.2021

გაცნობის თარიღი : 11.10.2021

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ. ზაჰესის ტერიტორია;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნოდარ ბასილაშვილი პ/ნ 01008000973
- თბილისი ე.ანდრონიკაშვილის I შეს. N 52

ნომენკლატურა :

- ქარხანა
- III კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: ქარხანა
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: ნიკა წულაია
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს მეტი
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 443860680

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: ნოდარ ბასილაშვილი
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01008000973

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : № 5015236
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 10.07.2020

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ– ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენ მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია რომლის პასუხად გაცნობებთ:
1. №5015236 ბრძანებით შეთანხმებული მშენებლობის ორგანიზების პროექტისა და კალენდარული გრაფიკის გათვალისწინებით, მშენებლობის ნებართვის გაცემიდან თოთხმეტი თვის ვადაში უნდა განხორციელებულიყო მშენებლობის რამოდენიმე ეტაპი, ხოლო სანებართვო პირობებით გათვალისწინებული მშენებლობის თითოეული ეტაპის დასრულების შემდგომ ნებართვის მფლობელმა უნდა შეადგინოს მშენებლობის (ზედამხედველობის) ეტაპის დასრულების ოქმი და სამშენებლო/სანებართვო პირობებით დადგენილი მორიგი ეტაპის დასრულებამდე წერილობითი სახით წარადგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალურ ინსპექციაში. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ვინაიდან მშენებლობა ნაწარმოები არ არის, წარმოდგენილი იქნას შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტი და დაკისრებული ჯარიმის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

2. სატიტულო ინფორმაცია. -> .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტის პირადი ნომერი -> .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.:
მიუთითეთ შეთანხმებული პროექტის მთავარი არქიტექტორის მონაცემები.

3. დამკვეთის ინფორმაციის ველებში შეივსოს ორგანიზაციის მონაცემებიც.

მითითებული ხარვეზების გამოსწორებისთვის გეძლევათ 15 სამუშაო დღე. თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს სრულყოფილ შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.